სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/10

ქ. თბილისი 22 იანვარი 2019

სტუ-ს სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის, სტუდენტების განცხადებების, სწავლების დეპარტამენტის უფროსის თ. წერეთლის წარდგინებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-02/3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის №108839 აკადემიური ჯგუფის სტუდენტის გიორგი კუჭუხიძის თხოვნა და იგი 2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრიდან გადაყვანილ იქნას ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. სტუდენტ გიორგი კუჭუხიძეს სწავლის საფასური განესაზღვროს შესაბამისი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების თანახმად.
3. დაკმაყოფილდეს სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მე-2 წლის №1716 აკადემიური ჯგუფის სტუდენტის ზურა ცხადაძის თხოვნა და იგი 2018-2019 სასწავლო წლის I სემესტრიდან გადაყვანილ იქნას ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
4. სტუდენტებს გიორგი კუჭუხიძეს და ზურა ცხადაძეს სასწავლო კომპონენტის გავლის ვადები განესაზღვროთ დანართის თანახმად (იხ. დანართი).
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი

სტუდენტების გიორგი კუჭუხიძისა და ზურა ცხადაძის მიერ სასწავლო კომპონენტის გავლის ვადები

1. სტუდენტებს გიორგი კუჭუხიძეს და ზურა ცხადაძეს სასწავლო კომპონენტის გავლისას მიეცეს უფლება:

   - შუასემესტრული გამოცდა ჩააბარონ მათთვის ხელსაყრელ დროს, შესაბამის სასწავლო კურსში დასკვნით გამოცდამდე, დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.
   - მიმდინარე აქტივობები, რაც დაკავშირებულია დამოუკიდებლად შესრულებული ინდივიდუალური ნაშრომის (პრაქტიკული/თეორიული დავალება, საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი და სხვა) წარდგენასა და პრეზენტაციასთან, ჩააბარონ მათთვის ხელსაყრელ დროს, შესაბამის სასწავლო კურსში დასკვნით გამოცდამდე, დეკანატთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.
   - მიმდინარე აქტივობები, რაც დაკავშირებულია გუნდურ მუშაობასთან, როგორც წესი, ჩააბარონ სილაბუსით განსაზღვრულ ვადებში, შესაბამის აკადემიურ ჯგუფთან ერთად.
   - დანარჩენი მიმდინარე აქტივობები ჩააბარონ ინდივიდუალური ტესტირების სახით, შესაბამის სასწავლო კურსში დასკვნით გამოცდამდე, დეკანატთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.
2. ინდივიდუალური ტესტირების მოცულობას, შეფასების მაქსიმალურ ქულას და შინაარსს განსაზღვრავს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი.